სწავლის დაწყების ან გაგრძელების მიზნით პოლონეთში გასამგზავრებელ ვიზაზე უარის მიღების შემთხვევაში სწავლის საფასურის დაბრუნების მოთხოვნის წესების შესახებ ინფორმაცია

სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის გადახდის პირობებს განსაზღვრავს *უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების შესახებ პოლონეთის 2018 წლის 20 ივლისის კანონი*, ხოლო კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული პირობები გამომდინარეობს ამ უნივერსიტეტების შინაგანაწესიდან.

სასწავლებელში მიღებული სტუდენტები უნივერსიტეტებთან დებენ ხელშეკრულებებს, რომელთა პუნქტებში არსებული ჩანაწერებიც შეიცავს სასწავლებელში მიღების პროცესთან, სწავლის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ დეტალურ პირობებს, მათ შორის დებულებებს, რომლებიც ეხება საფასურის ოდენობას და აგრეთვე გადახდილი საფასურის უკან დაბრუნების წესებს. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის კანდიდატები ყურადღებით უნდა გაეცნონ ამ საბუთებს, განსაკუთრებით კი გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების წესებთან დაკავშირებულ ჩანაწერებს.

სწავლის საფასურის დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა ხდება უშუალოდ სტუდენტსა და უმაღლეს სასწავლებელს შორს. პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოები, ისევე როგორც პოლონეთის რესპუბლიკის საკონსულოები არ შუამდგომლობენ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის, აგრეთვე არ გააჩნიათ რაიმე სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც უცხოელს, რომელსაც უარი ეთქვა სტუდენტური ვიზის გაცემაზე, შესაძლებლობას მისცემს, დაიბრუნოს მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური.

თუ უნივერსიტეტი არ ასრულებს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების დებულებებს, კერძოდ, არ უზრუნველყო სწავლის საფასურის დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ასე იყო გათვალისწინებული, სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებზე უფლებების დაცვის მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი გზით.